საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომა №41

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების (დოქტორანტურაში გრანტების განაწილების შესახებ) განმეორებითი განხილვა და დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ბორის ბოქოლიშვილი);
2. სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
3. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქ. ქოქრაშვილი);
4. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №156 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. თ. ბაციკაძე);
5. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №157 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე “მასალების მხატვრული მომინანქრებისა და დამუშავების ცენტრის "ქართული მინანქარი” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. ლომსაძე);
6. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №155 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე “ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. ლომსაძე);
7. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №159 დადგენილების დამტკიცება – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ან იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის, რომლებიც არიან სტუ-ის სტუდენტები, ფინანსური შეღავათების დაწესების შესახებ (მომხსენებელი სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ი. ლომიძე);
8. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის სხდომის
ოქმი №41

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 44. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ვალიდა სესაძე, სტუდენტი პაატა მალაზონია.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების (დოქტორანტურაში გრანტების განაწილების შესახებ) განმეორებითი განხილვა და დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ბორის ბოქოლიშვილი.

პროფ. ბორის ბოქოლიშვილი – ჩვენ (აკადემიური საბჭო) მოწოდებული ვართ, რათა ერთობლივად გამოვიდეთ სირთულეებიდან ამ მძიმე მდგომარეობაში. ჩვენ წელს პირველად დავუშვით გრანტები დოქტორანტურაში. გაიზარდა გადასახადები 3-ჯერ, ასევე თანამშრომელთა რაოდენობა და ბიუჯეტი ისე უნდა გავანაწილოთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ. საკითხი ისე დგას, რომ დოქტორანტებს იყვანს ფაკულტეტი. არიან მსურველები, რომლებიც იმსახურებენ, რომ გახდნენ დოქტორები, თუმცა მატერიალურად ვერ წვდებიან ამ გადასახადს. ამ შემთხვევაში მათ უნდა გავუწიოთ შეღავათი. ქიმიური და სამთო ფაკულტეტები ისედაც დოტაციური ფაკულტეტებია და ისინი დაზარალდებიან შევსების თვალსაზრისით. ბევრი ჩვენგანი მომავალ კონკურსში მონაწილეობას აღარ იღებს და საჭიროა გვყავდეს შემცვლელი. 5% გრანტზე ჰუმანიტარული და ინფორმატიკიკის ფაკულტეტები თანახმა არიან.

პროფ. დავით ჯაფარიძე – რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა ყველგან 10% ყოფილიყო, მაგრამ რექტორის აზრია, რომ ან საერთოდ გავაუქმოთ ან მივიღოთ მოწოდებული ფორმა. ჩვენმა კომისისამ ჩათვალა, რომ ამ ჯერზე ეს უნდა გავითვალისწინოთ. შემდგომში ეს საკითხი კვლავ გადაიხედება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა – მომხრე 43, წინააღმდეგი 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე, პროფ. ბორის ბოქოლიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების (დოქტორანტურაში გრანტების განაწილების შესახებ) განმეორებითი განხილვისა და დამტკიცების თაობაზე.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების მეორე პუნქტი წარმოდგენილი სახით: "თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტურიდან შემოსული თანხის 5% (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტებისათვის 10%) მოხმარდეს დოქტორანტურაში სწავლების გრანტების დაფინანსებას, რომლის განაწილება მოხდება ფაკულტეტების მიხედვით."

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში და საფაკულტეტო ბიუჯეტების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებული ცვლილებები განპირობებულია მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვით, ასევე მიღებული კონტინგენტის მატებით და დამტკიცებულ საშტატო განრიგში აკადემიური პერსონალის რაოდენობის ცვლილებით (ზრდით), მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნული რაოდენობის მატებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განსახორციელებელი ცვლილებების ნუსხას:

- გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტი და, შესაბამისად, საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები ფასიანი სწავლების პუნქტში 702791 ლარით.

- გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლის ხარჯვითი ნაწილი - 248700 ლარით, ფაკულტეტების ჭრილში.

- გაიზარდოს საქონელი და მომსახურების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში როგორც ადმინისტრაციულ, ისე საფაკულტეტო ჭრილში 415091 ლარით.

- ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და ფაკულტეტის მიერ დამატებით მოზიდული თანხების მოცულობიდან გამომდინარე (70% - ფაკულტეტი, 30% - სტუ), გაიზარდოს ფაკულტეტის შრომის ანაზღაურების მუხლის საპრემიო ფონდი - 39000 ლარით.

- სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საქონელი და მომსახურების მუხლის IX პუნქტში მოხდეს შიგა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, „სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების“ გრაფიდან 6800 ლარი გადატანილ იქნეს „კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების“ გრაფაში, ხოლო 200 ლარი იგივე მუხლის (III პუნქტის) „ საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების“ გრაფაში.

სპიკერი – თუ გაქვთ შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან?

პროფ. ივანე შავთვალიშვილი – კრედიტებიდან შემოსული თანხა სად მიდის და რა თანხაა შემოსული?

აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი, ბ-ნი გია ნადარეიშვილი – როდესაც სტუდენტი მოდის უნივერსიტეტში მისი აღრიცხვა ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. როდესაც ყიდულობს კრედიტს, ეს უნდა დაწეროს დეკანმა რექტორის სახელზე, რათა ეს თანხა ცალკე დაჯდეს, სხვა შემთხვევაში ეს თანხა ცალკე არ ფიქსირდება, შემოდის გადასახადის სახით.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ხელშეკრულებაზე ასაყვან თანამშრომლებთან დაკავშირებით, ყველაფერი თავიდან უნდა დაგვედგინა და ისე დაგვეგეგმა. განსაკუთრებით აქტიურობა გამოიჩინეს იმ ფაკულტეტებმა, რომლებიც ნაკლებ შემოსავლიანია. ნორმები რომ დაგვედგინა, ეს პრობლემა მოიხსნებოდა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებით ბარათზე უარი თქვა, მაგრამ საკითხი მაინც არის დღის წესრიგში და გამოგვაქვს სხდომაზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ შევთანხმდით, როდესაც დამთავრდება საბიუჯეტო წელი, ფაკულტეტი თუ შესძლებს მოიზიდოს დამატებითი თანხები, იმ შემთხვევაში 70% რჩება ფაკულტეტს. დამთავრდეს წელი, შევაჯამოთ ბიუჯეტი და მერე ფაკულტეტის გადასაწყვეტია თავის თანხას ვის მისცემს.

პროფ. გენადი იაშვილი – ჩვენმა ფაკულტეტმა ერთხელ იზარალა, როდესაც არ წარმოადგინა იმდენი მასწავლებელი, რამდენიც გვეკუთვნოდა. ეხლა მეორედ დაზოგილ თანხას სახელფასო ფონდში ვერ ჩავუშვებთ, ეს უნდა წავიდეს საპრემიო მუხლში.

პროფ. დავით ჯაფარიძე – წინასწარ არ ხდება პრემიების დარიგება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მართალი ხართ, მაგრამ მე ვარ იურიდიული პირის საფინანსო ხელმძღვანელი. მე ამ თანხას არ გავცემ წლის ბოლომდე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ თანხას სხვას ვერ მივცემთ ხელფასის სახით, ვერც სახელფასო ფონდში ჩაიყრება. ეს თანხა ფაკულტეტის კუთვნილი, დამატებით მოზიდული თანხაა და მისი გადასაწყვეტია როგორ დახარჯოს.

საბჭო შეჯერდა აღნიშნული საკითხის შემდეგ ფორმულირებაზე – ნება მიეცეს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტს ეს თანხები გასცეს საბიუჯეტო წლის ბოლოს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების შესახებ. განსახორციელებელი ცვლილებებია:

- გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტი და შესაბამისად, საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები ფასიანი სწავლების პუნქტში 702791 ლარის რაოდენობით.

- გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლის ხარჯვითი ნაწილი - 248700 ლარის რაოდენობით, შესაბამისად, ფაკულტეტების ჭრილში.

- გაიზარდოს საქონელი და მომსახურების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში როგორც ადმინისტრაციულ, ისე საფაკულტეტო ჭრილში 415091 ლარის რაოდენობით.

- ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და ფაკულტეტის მიერ დამატებით მიზიდული თანხების მოცულობიდან გამომდინარე (70% - ფაკულტეტი, 30% - სტუ), გაიზარდოს ფაკულტეტის შრომის ანაზღაურების მუხლის საპრემიო ფონდი - 39000 ლარით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ის ადმინისტრაციას ნება დაერთოს უნივერსიტეტის 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში განახორციელოს წარმოდგენილი ცვლილებები, შემდეგი შესწორებით, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საპრემიო ფონდი - 39000 ლარი, გაიხარჯოს საბიუჯეტო წლის ბოლოს.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საქონელი და მომსახურების მუხლის IX პუნქტში შიგამუხლობრივი ცვლილების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – "სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების“ გრაფიდან 6800 ლარი გადატანილ იქნეს „კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების“ გრაფაში, ხოლო 200 ლარი იგივე მუხლის (III პუნქტის) „ საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების“ გრაფაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი: სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საქონელი და მომსახურების მუხლის IX პუნქტში მოხდეს შიგა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების“ გრაფიდან გადატანილ იქნეს 6800 ლარი „კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების“ გრაფაში, ხოლო 200 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის (III პუნქტის) „ - საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების“ გრაფაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორს ნება დაერთოს განახორციელოს წარმოდგენილი ცვლილებები.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №156 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. თ. ბაციკაძე – უნდა მოგახსენოთ, რომ წარმოდგენილი დებულებები განიხილა საპროცედურო საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ და გამოითქვა აზრი, რომ უნივერსიტეტისათვის გადასაცემი თანხა, ცენტრების საერთო შემოსავლების წილიდან, რომელიც 5%-ითაა განსაზღვრული, უნდა გაიზარდოს.

პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარმოადგინა ცენტრის დებულება.

პროფ. გივი გოლეთიანი – რადგან ფაკულტეტზე არსებობს ცენტრი და იკავებს ფართობს, ხმარობს ელექტროენერგიას, უნდა ჩანდეს რას აკეთებს ი ფაკულტეტისთვის და რას ადმინისტრაციისთვის.

პროფ. დავით ჯაფარიძე – იქიდან გამომდინარე, რომ ქონების გადასახადი გაიზარდა 3-ჯერ, იქნებ გაიზარდოს სტუ-ში შემოსატანი თანხაც, მიეცეს წინადადება, ადმინისტრაციასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემონატანი იყოს 10% ყველა ცენტრისთვის.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – რექტორის მოადგილესთან სამეცნიერო დარგში შეიკრიბა კომისია და მიდის ამ ცენტრების რეალური შესწავლა-მონიტორინგი. ერთიანი წესი არ ნიშნავს ერთიან მიდგომას, ზოგი ცენტრი მომგებიანია, ზოგში მიმდინარეობს კვლევები. ამიტომ ზოგადად, ერთიან ჭრილში ყველას განხილვა არ შეიძლება. წლისთავზე ყველა ცენტრს მოვთხოვთ ანგარიშის წარმოდგენას.

საბჭომ დაადგინა, დაევალოს რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, უმოკლეს დროში, ანალიზის საფუძველზე, შეიმუშაოს სამეცნიერო ცენტრების უნივერსიტეტთან ფინანსური მდგომარეობა და ჩამოაყალიბოს ამ ურთიერთობის ერთიანი საუნივერსიტეტო წესი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე პროფ. თამაზ ბაციკაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრის შექმნიის საკითხი და ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №157 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "მასალების მხატვრული მომინანქრებისა და დამუშავების ცენტრის "ქართული მინანქარი" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება - მომხსენებელი პროფ. ზ. ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმოადგინა ცენტრის დებულება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. **წარმოდგენილ** საკითხს **კენჭი** ეყარა **ერთხმად**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე პროფ. ზურაბ ლომსაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "მასალების მხატვრული მომინანქრებისა და დამუშავების ცენტრის "ქართული მინანქარი" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე მასალების მხატვრული მომინანქრებისა და დამუშავების ცენტრის "ქართული მინანქარი" შექმნის საკითხი და ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №155 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. ლომსაძე);

პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმოადგინა ცენტრის დებულება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე პროფ. ზურაბ ლომსაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე "ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის" შექმნის საკითხი და ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №159 დადგენილების დამტკიცება – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ან იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის, რომლებიც არიან სტუ-ის სტუდენტები, ფინანსური შედავათების დაწესების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ი. ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე – წარმოგიდგენთ აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებულ №159 დადგენილებას – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ან იძულებით ადგილნაცვალი პირებისათვის, რომლებიც არიან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, დაწესდეს ფინანსური შედავათები, კერძოდ, სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლდნენ ისინი მათი მძიმე მდგომარეობის გამო წარმოქმნილი აკადემიური დავალიანების სალიკვიდაციოდ საგნების განმეორებითი სწავლების საფასურის გადასახადისაგან.

მოგახსენებთ, რომ რექტორის სახელზე შემოვიდა სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის დ. ბეჭვაიას განცხადება. იმის გამო, ის არის გალიდან იძულებით ადგილნაცვალი პირი დაუგროვდა კრედიტები და იგი გადახდის უუნაროა. შემოვდივარ წინადადებით სტუდენტი დ. ბეჭვაია გავანთავისუფლოთ გადასახადისგან და მომავალში სტუდენტების საკითხი, რომლებიც გადიან ამ კატეგორიაში გადაწყვიტოს კონკრეტული ფაკულტეტის საბჭომ აკადემიური საბჭოს №159 დადგენილების საფუძველზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ნოემბრის №41 სხდომაზე სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ი. ლომიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №159 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა: აკადემიური საბჭოს №159 დადგენილება – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ან იძულებით ადგილნაცვალი პირებისათვის, რომლებიც არიან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, დაწესდეს ფინანსური შეღავათები, კერძოდ, სრულად განთავისუფლდნენ ისინი მათი მძიმე მდგომარეობის გამო წარმოქმნილი აკადემიური დავალიანების სალიკვიდაციოდ საგნების განმეორებითი სწავლების საფასურის გადასახადისაგან.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/